ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 37

ქ. ბათუმი

„13“ მარტი 2018 წელი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ჯუმბერ ვარდმანიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მარიამი ო.ბ. 2006“ (შემდგომში მიმწოდებელი) დირექტორის ოთარ ბერიძის სახით, მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე შემდეგზე: ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშეს საშუალებით მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე (სატენდერო განცხადება NAT180000712 CPV კოდი 45200000).

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს: მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები თანახმად ხარჯთაღრიცხვისა (დანართი N4).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 123 043,73 (ასოცდასამი ათას ორმოცდასამი ლარი და 73 თეთრი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა გადასახადს.

3.3 დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი, 2018 წლის სახსრები.

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.2 ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად რომელიც უნდა შეადგენდეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 20%-ს.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარმოადგინოს:

ა) ეტაპობრივი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ა) სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, ბ)მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

გ) ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებული წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) მიმწოდებლის მიერ ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურებაზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ეტაპების გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი თვის ვადაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდგომ.

5.3 საბოლოო მიღება-ჩაბარება ხდება ა) სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, ბ) გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, გ)შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდგომ (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

5.4 შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ადგილი: სოფ. მახვილაური.

5.5 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისია.

5.6 სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.7 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესრულებული სამუშაოს წუნდების მიზეზების მითითებით.

6. სამუშაოთა ხარისხი და საგარანტიო პირობები

6.1 გაწეული სამუშაოები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, კერძოდ საპროექტო დოკუმენტაციასა და ხარჯთაღრიცხვას.

6.2 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა - 24 (ოცდაოთხი) თვე სამუშაოების დასრულების დღიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები მითითებულ ვადაში. სამუშაოს პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა მოთხოვნები და შენიშვნები, გაუწიოს სამშენებლო სამუშაოები სრული მოცულობით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

7.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოს შესრულება საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას სამუშაოები შეასრულოს ეტაპობრივად. <u>შენიშვნა: „ეტაპი“-</u> იგულისხმება სამუშაოების შესრულების წარმოდგენა ქვემოთ მოცემული ეტაპების მიხედვით, მიმწოდებელის მიერ წარმოდგენილი ეტაპების გეგმა-გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი თვის ვადაში).

გამარჯვებული ორგანიზაცია ღებულობს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაოები შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი - ორი თვე, არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის სამუშაოების შესრულების წარმოდგენა;

II ეტაპი - სამი თვე, არანაკლებ სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის სამუშაოების შესრულების წარმოდგენა;

თუ კონკრეტული ეტაპის შესრულების დროს გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება გადააჭარბებს ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებას, აღნიშნული თანხა გამარჯვებულ ორგანიზაციას ჩაეთვლება მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებაში.

7.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე საჭირო სამშენებლო მასალების ხარისხი გამოყენებამდე შეათანხმოს ,,შემსყიდველს".

7.5 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2 ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.

8.3 მიმწოდებლის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები:

ა) იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი სამუშაოებს არ დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. (ვადაგადაცილებული დღეები ითვლება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის შემდეგ). თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ბ) იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ყოველი ეტაპის შესრულების ვადას გადააცილებს შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, დაეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეტაპის ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, თუ დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა გადააჭარბებს ეტაპის ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 პუნქტის 4.3 ქვეპუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება ჯარიმა, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, ან/და არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადას ან/და 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ეტაპების გეგმა-გრაფიკს;

ბ) თუ მიმწოდებელმა სამუშაოები შეაჩერა 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით და ასეთი შეჩერება არ გამომდინარეობდა დაუძლეველი ძალის გარემობებიდან და არ იყო შეთანხმებული შემსყიდველთან;

გ) თუ მიმწოდებელი არ ახდენს ნაკლისა და ხარვეზების აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში;

დ) თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებაში მითითებულ სამუშაოთა წარმოების წესებს, ინსტრუქციებს და დებულებებს;

ე) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ვ) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;
ზ) თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;
თ) შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად იმავე პირობის განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;
ი) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტი) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულად შესრულებას;
კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს შემსრულებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ სარემონტო სამუშაოები. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური, შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხარისხი, შესრულების ვადა.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
10.4 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, და ასევე შესასრულებელი სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის გრძანებით მიმაგრებული ტექნიკური ზედამხედველები. შემსყიდველის მხიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიცპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურს მეორადი სტრუქტურული ერთეული მშენებლობის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბიძინა დუმბაძე. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–საამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

10.5 წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია ტექნიკური ზედამხედველები.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდერული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დამატებითი პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოსმიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

13.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „მარიამი ო.ბ. 2006"
ტელ: (0422)25-91-13, 25-93-27	ს/კ 245560085
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.#23	მის: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. 4, ბინა 1
საბანკო რეკვიზიტები:	ტელ: +995 599 39 26 20
ს.ს. ,,ლიბერთი ბანკის"	საბანკო რეკვიზიტები
ს.კ. 248428385	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ბ/კ: LBRTGE22	MIBGGE22
ა/ნ #GE88LB0120166231817002	ა/ნ GE57PC0033600100052315
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი ოთარ ბერიძე
ჯუმბერ ვარდმანიძე	
(ხელმოწერა/ბეჭედი)	(ხელმოწერა/ბეჭედი)

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა

პრეტენდენტის დასახელება შ.პ.ს „მარიამი ო.ბ.-2006“

#	ხარჯთაღრიცხვის ნომერი	ობიექტის, სამუშაოს და ხრჯების დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
1	2	3	4
1	ლოკ ხარჯ. #1	40 კბ/მ რეზერვუარი	15495,47
2	ლოკ ხარჯ. #2	ჭაბურღილის მოწყობა	31947,40
3	ლოკ ხარჯ. #3	საქაჩი ტუმბოსა და ჭაბურღილის მოწყობა	48624,10
4	ლოკ ხარჯ. #4	ელექტრო მომარაგება	5170,27
		№1, №2, №3 და №4 ხარჯთაღრიცხვების ჯამი	101237,24
		რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 3%	3037,11
		ჯამი	104274,35
		დ.ღ.გ. 18%	18769,38
		ჯამი	123043,73

პრეტენდენტის ხელმოწერა

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა #1

მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა

40ტ რკ/ბეტონის რეზერვუარის აშენება და შემოღობვა

პრეტენდენტის დასახელება შ.პ.ს „მარიამი ო.ბ.-2006"

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	საპროექტო მონაცემები	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	გრუნტის დამუშავება ხელით (6,2X4,8)X2+(6,2+4,8)X2X0,5X0,4=59,52+4,4=63,92	100მ^3	0,6392	944,00	603,40
2	გრუნტის უკუჩაყრა ხელით	100მ^3	0,063	900,00	56,70
3	ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 10კმ მანძილზე	ტ	57,62	5,00	288,10
4	ღორღის ბალიშის მოწყობა 10 სმ სისქის პროექტით	მ3	2,91	45,00	130,95
5	ბეტონის 10სმ საფუძვლის ფენის მოწყობა ბეტონი B 7,5 პროექტით	100მ^3	0,0291	12000,00	349,20
6	მონოლითური რ/ბეტონის ლენტური საძირკვლის მოწყობა პროექ.	100მ^3	0,032	20000,00	640,00
7	მონოლითური რ/ბეტონის იატაკის მოწყობა ორმაგი არმირებით ჰიდროსაიზოლაციო დანამატით სპეც. სასმილი წყლის რეზერვუარისათვის ბეტონი B25	100მ^3	0,0828	30000,00	2484,00
8	მონოლითური რ/ბეტონის კედლების მოწყობა ჰიდროსაიზოლაციო დანამატით სპეც. სასმელი წყლის რეზერვუარისთვის ბეტონი B25 პროექ.	100მ^3	0,126	45000,00	5670,00
9	მონოლითური რ/ბეტონის გადახურვის ფილის მოწყობა ყელით შიდროსაიზოლაციო დანამატით სპეც. სასმელი წყლის რეზერვუარისთვის ბეტონი B25	100მ^3	0,043	38000,00	1634,00
10	გარე კედლების ფსკერისა და გადახურვის ჰიდროიზოლაცია ბიტუნის მასტიკით	100მ^2	0,33	600,00	198,00
11	შიდა კედლების და იატაკის დამუშავება-გასწორება ორკომპონენტიანი, ჰიდროსაიზოლაციო მასალა სპეც. სასმელი წყლის რეზერვუარისათვის (21,6+34,48)=56,08	100მ^2	0,5608	601,00	337,04
2	ლითონის სახურავის მოწყობა 1ცალი	ცალი	1	250,00	250,00

13	ლითონის კიბის მოწყობა 1,6გრძ/მ	ტ	0,02	7000,00	140,00
	შემოღობვა რკ/ბ ავზის ჭაბურღილის 55,2 გრძ/მ				
14	გრუნტის დამუშავება ხელით ბეტონის წერტილოვანი საძირკვლის მასაწყობად პროექ.	მ3	1,55	7,79	12,07
15	ბეტონის წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა პროექ.	მ3	1,55	120	186,00
16	ლითონის სექციური ღობის მოწყობა ლითონის ბადით 49,2გ/მ პროექ.	100 გ/მ	0,492	3500	1722,00
17	ღობეებისა და ერთფრთიანი ჭიშკრის შეღებვა ორივე მხრიდან	100 $მ^2$	1,32	450	594,00
18	ლითონის ერთფრთიანი ჭიშკარი 1,0 გ/მ (ორი ცალი)	100 გ/მ	0,02	10000,00	200,00
	ჯამი				15495,47

პრეტენდენტის ხელმოწერა

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა #2

მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა

ჭაბურღილის მოჭყობა სიღრმით 60 გრ/მ

პრეტენდენტის დასახელება შ.პ.ს „მარიამი ო.ბ. -2006“

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	საპროექტო მონაცემები	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	ჭაბურღილის მოწყობა VII-IX კატეგორიის გრუნტებში სამაგრი მილებით d=219სისქე 5მმ 35გრ/მ და d=168 სისქე 4მმ 35გრ/მ	გრ/მ	70	450	31500,00
2	წყლის საცდელი გამოტუმბვა და ჭაბურღილის გარეცხვა	ბრ/ცვლა	1	199	199,00
3	ჭაბურღილის ყელის ფუნდამენტის მოწყობა ასკანას თიხისაგან 2,0*3,0*1,8	$მ^3$	10,80	23	248,40
	ჯამი				31947,40

პრეტენდენტის ხელმ

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა #3

მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა

საქაჩი ტუმბოსა წყალსადენი მილების მოწყობა

პრტენდენტის დასახელება შ.პ.ს „მარიამი ო.ბ.-2006“

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	საპროექტო მონაცემები	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	ჭაბურღილისათვის სამფაზიანი ტუმბოს მონტაჟი SP8A37 სიმძლავრით 5,5 კვტ (წამში 1,5lლიტრი H=180მ Q=5,4მ მ.კუბ წარმადობით)	ცალი	1	6500	6500,00
2	მიწის დამუშავება ხელით საყრდენებისათვის	100 $მ^3$	0,028	1393	39,00
3	ლითონის d=50მმ სისქე 3მმ მილებით საყრდენების მოწყობა	1000 გრძ.მ	0,114	8500	969,00
4	ლითონის საყრდენების დაბეტონება	100$მ^3$	0,027	13000	351,00
5	ფოლადის d=60მმ (კედლის სისქე 3მმ) მილების მონტაჟი 572 გრ.მ	1000 გრძ.მ	0,572	12000	6864,00
6	ლითონის მილების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით	100 $მ^2$	1,036	449,9	466,10
7	ჩამკეტი არმატურის მოწყობა (ურდულის მოწყობა) გამრეცხისა დაწყალსადენის ქსელისათვის	ცალი	2	128	256,00
8	ლითონის d=89 მმ სისქე 4მმ მილის მოწყობა გამრეცხისა და გადამღვრელისათვის	100 გრ.მ	0,50	6000	3000,00
9	წყლის გამანაწილებელი "კოლექტორების" მოწყობა d=102მმ 4მმ სისქის (1მ) 6ც კოლექტორებისათვის ვენტილებით	ც	6	300	1800,00
10	ლითონის d=76მმ (სისქე 3მმ)მილების მოწყობა (საჰაერო გამანაწილებლებზე 3გრ.მ და რკ/ბეტონის აუზზე 1,5)	100 გრძ/მ	0,045	6000	270,00
11	ლითონის მილებისა კოლექტორების შეღებვა	100 მ2	0,852	750	639,00
12	მიწის დამუშავება ხელით საყრდენებისათვის 454X0.20X0.20X0.5=9.08	100 $მ^3$	0,091	1400	127,40
13	გრუნტის დამუშავება ხელით გზის გადაკვეთაში წყალსადენის მილის გაყვანისათვის 0,25X0,5X42	100 $მ^3$	0,0525	1400	73,50

14	ფოლადის d=89მმ (კედლის სისქე 4მმ) მილების მონტაჟი გზის კვეთებში წყალსადენის მილების გასაყვანად 42გრ.მ	1000 გრძ.მ	0,042	19977,38	839,05
15	ლითონის d=40მმ სისქე 3მმ მილებით საყრდენების მოწყობა	1000 გრძ.მ	0,545	10000	5450,00
16	ლითონის საყრდენების დაბეტონება 454X0.20X0.20X0.5=9.08	100 $მ^3$	0,091	8000	728,00
17	ლითონის d=50მმ (კედლის სისქე 3მმ) მილების მონტაჟი 1150	1000 გრძ.მ	1,15	8500	9775,00
18	ლითონის დ=40მმ სისქე 3 მილების მონტაჟი 691.5გრძ.მ	1000 გრძ.მ	0,692	8000	5536,00
19	ლითონის დ=32მმ სისქე 3 მილების მონტაჟი 427.8გრძ.მ	1000 გრძ.მ	0,428	7500	3210,00
20	მილების გადაზიდვა	1000 გრძ.მ	2,161	250	540,25
21	ლითონის მილების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით	100 $მ^2$	2,977	400	1190,80
	ჯამი				48624,10

პრეტენდენტის ხელმოწერა

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა #4

მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა

ჭაბურღილის, რკ/ბეტონის აუზისა და საქაჩი ტუმბოს ელექტრომომარაგება

პრეტენდენტის დასახელება შ.პ.ს „მარიამი ო.ბ.-2006"

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	საპროექტო მონაცემები	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	ელექტროსადენის გაყვანა პლასტმასის მილითამძრავ-ამომრთველი მექანიზმისათვის საქაჩიდან რეზერვუარის ტივტივამდე	გრძ.მ	512,40	1,65	845,46
2	ორმოების ამოთხრა ხელით განათების ბოძებისათვის 0.5X0.5X1.2X1ც	$მ^3$	0,30	15,00	4,50
3	განათების ბოძის დაბეტონება 0.5X0.5X1,2	$მ^3$	0,30	150,00	45,00
4	ლითონის განათების ბოძის მონტაჟი	ც	1	170,00	170,00
5	სანათის სამაგრი კვანძის მონტაჟი ლითონის მილი ф42მმ (1,5მ სიგრძის)	100 ც	0,01	5000,00	50,00
6	გარე განათების ბოძებზე სანათების მონტაჟი	100 ც	0,01	10000,00	100,00
7	ფოტორელეს მონტაჟი	ც	1	38,02	38,02
8	კაბელი (1,5X2)$მმ^2$ბოლოების ჩაკეთება 2მX1ც=2	100 გრ.მ	0,02	190,00	3,80
9	ელ. ტივტივას მოწყობა 50ტ აუზში	ცალი	1	140	140,00
10	საყრდენი ბოძების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით ф 127მმ (6მX1 ც) სისქე 4მმ	100 $მ^2$	0,015	400,00	6,00
11	ავვგ-პ კაბელის მონტაჟი ალუმინის ძარღვით 3X16+1X10 (ტრანსფორმატორიდან მართვის პულტამდე)	100 გრ.მ	1,54	375,00	577,50
12	მართვის კარადის შეძენა CONTROL MP204 პირდაპირი ჩართვით)	კომპ.	1	1500	1500,00
3	მართვის კარადის მონტაჟი ელ. მაგნიტური გამშვები (პუსკატელის) მონტაჟი	კომპ.	1	599,99	599,99

14	სპილენძის კაბელი 4X10 (მართვის პულტიდან ტუმბომდე)	100გრ.მ	0,70	1500,00	1050,00
15	დამიწების კონტურის მოწყობა	ც	1	40,00	40,00
	ჯამი				5170,270

პრეზენდენტის ხელმოწერა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების
კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფის
ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

13 მარტი 2018 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მახვილაურში ჭაბურღილის, აუზისა და წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 16 იანვარს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადება **NAT180000712**), რომელშიც გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია შპს ,,მარიამი ო.ბ. 2006", მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი):

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ბიძინა დუმბაძე